

13

სექტემბერი
September

18:30

Mischa Maisky / cello

Johan Sebastian Bach (1685-1750)
Cello Suite No. 3 in C Major, BWV 1009

Prelude
Allemande
Courante
Sarabande
Bourrée I
Bourrée II
Gigue

Cello Suite No. 5 in C Minor, BWV 1011

Prélude
Allemande
Courante
Sarabande
Gavotte I
Gavotte II
Gigue

მიშა მაისკი/ ჩელო
იოჰან სებასტიან ბახი (1685-1759)
ჩელოს სუიტა No. 3 დო მაჟორი, BWV 1009

Prelude
Allemande
Courante
Sarabande
Bourrée I
Bourrée II
Gigue

ჩელოს სუიტა No. 5 დო მინორი, BWV 1011

Prélude
Allemande
Courante
Sarabande
Gavotte I
Gavotte II
Gigue

ოჰან სებასტიან ბახი

ჩელოს სიუიტა No. 3 დო მაჟორი, BWV 1009

ჩელოს სიუიტა No. 5 დო მინორი, BWV 1011

1717 - 1723 წლებში ბახი კაპელმეისტერად მუშაობდა კიოტენში, პრინც ლეოპოლდ ფონ ანჰალტ-კიოტენის კარზე. კარის მუსიკოსების მაღალი დონით შთაგონებულმა კომპოზიტორმა იმ წლებში ძირითადად დაწერა საერო ინსტრუმენტული მუსიკა, მათ შორის ბრანდენბურგის კონცერტები, „კარგად ტემპერირებული კლავირი“ (1-ლი ტომი), რამდენიმე სავიოლინო კონცერტი, ფრანგული და ინგლისური სიუიტები კლავესინისთვის და ექვსი ჩელოს სიუიტა. ჩელოს სიუიტები შეიქმნა დაახლოებით 1720 წელს. საინტერესოა, რომ იმ დროს ჩელო შედარებით ახალი ინსტრუმენტი იყო. ყველაზე ადრეული ნაწარმოებები სოლო ჩელოსთვის დომენიკო გაბრიელის ეკუთვნის და თარიღდება 1680-იანი წლებით. ბახის ჩელოს სიუიტებს ჰყავდა სულ რამდენიმე წინამორბედი, შექმნილი მსგავს ჟანრში. ამიტომ, ბახის სიუიტები შეიძლება ჩაითვალოს სოლო ვიოლონჩელოსთვის შექმნილ პირველ მნიშვნელოვან თხზულებებად. ექვსისვე სიუიტა შექმნილია ბაროკოს ეპოქის ინსტრუმენტული სიუიტისათვის ტიპური სტრუქტურით - პრელუდიას მოყვება ოთხი ცეკვა: ალემანდა, კურანტა, სარაბანდა და ჟიგა. სარაბანდასა და ჟიგას შორის ბახმა წყვილ-წყვილად ჩაამატა მენუეტები, ბურეები, ან გავოტები. 2006 წელს ავსტრალიელმა მევიოლინემ და ალტისტმა მარტინ ჯარვისმა ძალიან საინტერესო თეორია გაახმოვანა, რომლის მიხედვით, ბახის ჩელოს სიუიტები ანა მაგდალენა ბახს, კომპოზიტორის მეორე მეუღლეს ეკუთვნოდა. ამ საკმაოდ საკამათო კვლევაში, რომელიც 2008 წელს წარმოდგენილ იქნა მელბურნის სასამართლო ექსპერტიზის საერთაშორისო სიმპოზიუმზე, მუსიკოსი მიმართავდა ხელნაწერის ანალიზის ევრისტიკას. თუმცა, ამ თეორიამ არ მოიპოვა საკმარისი მხარდაჭერა მუსიკოსებს შორის, რადგან სიუიტების ენა ნათლად ბახისეულია. ”ისინი [ჩელოს სიუიტები] ბახის არსია, ხოლო ბახი მუსიკის არსია,” - წერდა პაბლო კაბალსი, დიდი კატალონიელი ჩელისტი, რომლის დამსახურებით სამყარომ თავიდან აღმოაჩინა ეს მივიწყებული შედეგები. კაბალსამდე ჩელოს სიუიტებს აღიქვამდნენ როგორც ტექნიკურ სავარჯიშოებს, რომლებიც საკონცერტო შესრულებისთვის არ იყო განკუთვნილი. პაბლო კაბალსი გახდა პირველი მუსიკოსი, რომელმაც სიუიტები საჯაროდ შეასრულა და შემდეგ ჩაწერა კიდევ ისინი 1930-იან წლებში. მას შემდეგ სიუიტები შესრულდა არაერთი დიდი ჩელისტის მიერ. ერთ-ერთი მათგანი დღეს წარმოგიდგენთ ჩელოს ორ სიუიტას, დაწერილს დო მაჟორსა და დო მინორში.

ამ დროს საქართველოში...

1886 წელს, ოთხი წლით ადრე, ვიდრე 13 წლის კაბალსმა ბარსელონის ერთ-ერთ მაღაზიაში ბახის ჩელოს სიუიტების „გრუცმახერის გამოცემა“ აღმოაჩინა და სიუიტების შესწავლა დაიწყო, მოსკოვის კონსერვატორია ჩელოს განხრით დაამთავრა ივანე სარაჯიშვილმა. სარაჯიშვილი ისტორიაში შევიდა როგორც პირველი ქართველი ჩელისტი, რომელმაც უმაღლესი მუსიკალური განათლება მიიღო. დიდი ვანო სარაჯიშვილის ბიძაშვილი მოსკოვიდან სამშობლოში დაბრუნდა და 1887 წელს თბილისის სასწავლებელში შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას. სწორედ ივანე სარაჯიშვილი ითვლება ქართული სავიოლონჩელო სკოლის ფუძემდებლად.

Johan Sebastian Bach
Cello Suite No. 3 in C Major, BWV 1009
Cello Suite No. 5 in C Minor, BWV 1011

In 1717 - 1723, Bach worked as kapellmeister in Köthen at the court of Prince Leopold von Anhalt-Köthen. Inspired by some of the court's finest musicians, Bach composed in those years mostly secular instrumental music, including Brandenburg Concertos, the Well-Tempered Clavier (Book 1), several Violin Concertos, French and English Suites for harpsichord, and six Cello Suits. Cello Suits were written around 1720. Interestingly, at that time, cello was a relatively new instrument. The earliest solo pieces that have been composed exclusively for cello by Domenico Gabrieli date back to 1680s. When Bach decided to write suits for unaccompanied cello, there were just a few forerunners for such works. That's why Bach's suits could be considered the first significant works composed for solo violoncello. All six cello suites are written in the traditional form of the instrumental Baroque suite - a prelude is followed by four dances: allemande, courante, sarabande, and gigue. Between sarabande and gigue Bach inserted pairs of either minuets, bourrées, or gavottes. In 2006, an Australian violinist and viola player Martin Jarvis claimed that Bach's six suites for solo cello were composed by Anna Magdalena Bach, the composer's second wife. His controversial research presented later, in 2008, at the International Symposium on the Forensic Sciences in Melbourne was based on handwriting analysis heuristics. Though, this theory did not receive sufficient support among musicians, as the language of suits is clearly Bach's. "They [Cello Suits] are the very essence of Bach, and Bach is the essence of music," wrote Pablo Casals, the great Catalan cellist who championed the Cello Suites. Before Casals, they were regarded as technical studies not intended for concerts. Casals became the first musician to perform the suites in public and to record them in 1930s. Since then the suits have been interpreted by many great cellists. One of them presents today two Cello Suits composed in C Major and C Minor.

Meanwhile in Georgia

In 1886, just four years before the 13-year-old Casals discovered the Grützmacher's edition of Bach's Cello Suits in a second-hand music shop in Barcelona and started studying them, Ivane Sarajishvili graduated from the Moscow Conservatory. Sarajishvili was marked in history as the first Georgian cellist to receive the higher education. The cousin of the great Georgian singer Vano Sarajishvili, he returned from Moscow to his homeland and in 1887 began teaching at the Tbilisi Music School. Ivane Sarajishvili is considered the founder of Georgian violoncello school.